№ 68. 31 მარტი, სამშაბათი. 1866—1881 31 მარტი, სამშაბათი. № 68.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებას"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭუნიაშვილთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაზინოები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

თბილისი 1881 წელი

არწრუნის თეატრში

ხუთშაბათს 2 აპრილს

## აკ. წერეთელი

წაიკითხავს ლექციას ვეფხვის ტყაოსანზედ.

## მეორე ლექცია

I

პროგრამმა

ვეფხვის ტყაოსანი.

კაცები

ა) ტარიელ.

ბ) ავთანდილ.

გ) ფრიდონ.

დ) ამათი განსხვავება ხასიათებით.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი ცხრის ნახევარზედ

## ტელეგრამმები

—

ხალხთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

**პეტერბურღი**, 28 მარტს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია: ბრალმდებით ოქმის წაკითხვის შემდეგ, რისაკოვმა სთქვა, სოციალ-რევოლიუციურ პარტიას არ ვეკუთვნიო, მაგრამ პირველ მარტს მომხდარ საქმეში კი მივიღე მონაწილეობაო; მიხაილოვმა განაცხადა, მართალია, სოციალ-რევოლიუციურ პარტიას ვეკუთვნი, მაგრამ სხვა არავითარი დანაშაული არ მიმიძღვისო; გესსა გელფმანმა (ქალმა) აღიარა, რომ მომხრე ვარ სოციალ-რევოლიუციის პარტიისა და ადგრძალულ გაზეთის „ნაროდნაია ვოლის" პროგრამმას თანაუგრძნობო; კიბალჩიჩმა სთქვა: ჩემს მოქმედებას მხოლოთ მეცნიერებითი მნიშვნელობა ჰქონდა: დინამიტს, ასაფეთქ და სასროლ ყუმბარებს ვამზადებდი და ისიც ვიცოდი—თუ ამ მასალებს რისთვის ხმარობდნენ; სოფიო პეროვსკისა გამოტყდა, რომ ის არის წევრი „ნაროდნაია ვოლის" პარტიისა და ამას გარდა აგენტი „აღმასრულებელ კომიტეტისა"; ანდრია ჟელიაბოვმაც იგივე აღიარა: „ნაროდნაია ვოლიას" პარტიის წევრი და „აღმასრულებელ კომიტეტის" აგენტი ვარო. შემდეგ დაიწყეს მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა.

**პეტერბურღი**, 29 მარტს. დღეს, დილის 7 საათზე, სასამართლომ ხელმწიფის მოკვლაში დამნაშავე ექვს პირს ჩამოდრჩობა გარდაუწყვიტა; მხოლოთ სოფიო პეროვსკის ქალის შესახებ სასამართლომ დაადგინა, რომ თავის განჩინება, „სისხლის სამართლის წესდების" მე-945 მუხლის თანახმად, ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინოს.

—

## ახალი ამბები.

—

წუხელი, კვირა საღამოს, არწრუნის თეატრის ზალაში, გამოცხადებისათანახმად, იყო პირველი ლექცია აკაკი წერეთლისა „ვეფხვის-ტყაოსნის შესახებ."

საზოგადოთ ლექციის წაკითხვისთანა ძნელი არა არის-რა. თუ ორატორული ნიჭი არა აქვს წამკითხველსა და საგანიც ისეთი არ არის ამორჩეული, რომელიც მაყურებელს განიტაცებს, გონებას აუმუშავებს, მსმენელს, უეჭველია, მოსწყინდება ერთისა-დაიმავე პირის ლაპარაკის სმენა საათნახევრის, ორი საათის განმავლობაში.

აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს; ის გემუსაიფება, გელაპარაკება, თითქო ამბავს რასმე გიამბობსო; მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსაიფი ისეთ ტკბილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთ. ამას დაუმატეთ მშვენიერი შინაარსი თვითონ ლექციისა, მახვილი შედარებანი, მოხდენილ ანდაზებითა და იუმორიულ კილოთი შეზავებული საუბარი და თქვენ ადვილად გაიგებთ, როცა გეტყვით, რომ წუხანდელმა იმის ლექციამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებში, მომეტებული ნაწილი აღტაცებაშიაც მოიყვანა.

სამწუხაროთ, ცუდის ამინდისა, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, წუხელი ერთობ ნაკლებად იყვნენ მსმენელნი ამ ჩინებულ ლექციისა. იმედია, შემდეგ ლექციებზე, როდესაც ლექტორი შეუდგება თავის პირ-და-პირ საგანს, —„ვეფხვის-ტყაოსნის" ტიპების განხილვას, უფრო მომეტებული ხალხი მოვა და წინათვე თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვინც მოვა, არ ინანებს...

შემდეგი ლექცია იქნება იქვე, არწრუნის თეატრის ზალაში, ამ ხუთშაბათს. მესამე და უკანასკნელი ლექცია მომავალ კვირას.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. დადიანსა და ექიმს დიმიტრი ნაზაროვს უმაღლესის მთავრობისაგან ნება-რთვა მოსვლიათ ქუთაისში კვირეული გაზეთის „შრომის" გამოცემისა.

ცენზურად დაუნიშნავთ ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს (პრავლენიის) საქმის მწარმოებელი ბ. ს. აბულაძე.

პირველი ნომერი შრომისა, როგორც გვაცნობებენ, 15 აპრილს გამოვაო.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინეთ მოყვანილი, რომ ქუთაისის სატუსაღოში ხვრელი აღმოუჩენიათ ტუსაღებისაგან გაკეთებულიო და კინაღამ ხუთი კაცი ერთად არ გაიქცაო.

ამ საგნის შესახებ ქუთაისიდამ გვატყობინებენ ახლა, რომ ხვრელი იყო 14 არშინ ნახევარზედ გაყვანილიო და გალავნის გარეთ ამოსვლას კიდევ 8 არშინი აკლდაო. ეს ამბავი, დარაჯებმა კი არა სატუსაღოს ზედამ-

---

## «დროების» ფელტონი, 31 მარტს.

### ვიტიროთ თუ ვიცინოთ?

(წერილი პეტერბურღიდამ)

მოგეხსენებათ, 1 მარტის უბედურების გამო, პეტერბურღში შეიკრიბენ დეპუტაციები რუსეთის სხვა-დასხვა კუთხეებიდამ.

ჩამოვიდნენ ჩვენებიც, კავკასიიდამ.

დეპუტატებმა აასრულეს თავისი პირდაპირი დანიშნულება, თაყვანი სცეს მიცვალებული ხელმწიფის გვამს, გამოუცხადეს მისს უდიდესობას ახალ ხელმწიფეს, თავისი ქვეშევრდომითი გრძნობები და... დაფიქრდნენ: რა ვქნათ ეხლაო?

შედეგი ამ დაფიქრებისა სულ სხვა-და-სხვა გვარი გამოდგა და აი, მეც ამაზედ მინდა მოვილაპარაკო დღეს „დროების" მკითხველებს. განსაკუთრებით ყურადღებას ვთხოვ იმათ, ვინც საქართველოს პატივცემულ თავადთა და აზნაურთ წოდებას ეკუთვნის.

ყველა დეპუტაციებში ორმა მიიზიდა პეტერბურღელი საზოგადოების განსაკუთრებითი ყურადღება: პოლშისამ და საქართველოსამ; ეს გასაკვირველიც არ არის. ორივე ეს მხარეები არ შეადგენენ რუსეთის ბუნებით ნაწილს, ორივესი პოლიტიკური მდგომარეობა ეხლა ერთი-და-იგივეა, ორივენი მოკლებულია ნეტარ ხსენებულ მიცვალებულ იმპერატორისაგან ნაბოძებ რეფორმებს და ორივეს, როგორც მოგეხსენებათ, არ აწყენს ეს რეფორმები.

„თუ პირდაპირ არ ითხოვენ თავის ქვეყნისათვის რამე სიკეთეს,—ამბობდნენ პეტერბურღში — ანიშნებენ მაინც, რაა სასარგებლო მათთვის და რა მავნებელი! ეს მოლოდინი ასრულდა: ამ ორმა დეპუტაციამ არა თუ ანიშნეს, პირ-და-პირ განაცხადეს: მე ესა და მე ესაო!..

პირველი ბიჯი ეკუთვნის პოლშის დეპუტაციას. ერთმა ამ დეპუტაციის წევრთაგანმა, გრაფმა ზამოისკიმ, მიართვა ხელმწიფე იმპერატორს „პეტიცია", რომელშიდაც სთხოვდა მისს იმპერატორებითი უდიდებულესობას, პოლშის ეხლანდელი მდგომარეობის სხვა-და-სხვა შემსუბუქებას. გაზეთებში მოხსენებულია, ეს პეტიცია თხოულობს რეფორმების მინიჭებას პოლშისათვისო, და სხვათა შორის, ნაციონალური ენის აღდგენას, როგორც სასწავლებლებში, აგრეთვე სამსჯავროებში და, საზოგადოთ, ოფიციალური მიწერ-მოწერაში... ხელმწიფე იმპერატორმა გულმოწყალეთ მოისმინა ეს პატრიოტული თხოვნა და ზედ ისეთი პასუხი დართოო,—უმატებენ გაზეთები—როგორიც ეკადრებოდა კეთილშობილის ქვეყნისა კეთილშობილ შვილსო...

ზამოისკის დაფნის გვირგვინმა არ დააძინა ჩვენი დეპუტატები! როგორ თუ ზამოისკიმ, და ჩვენ არაო?! ღმერთო მომკალი და რით ჩამოურჩებით უკან პოლშელებსო?! ჩვენაც უნდა ვითხოვოთ, რასაკვირველია, მაგრამ საქმე იმაშია, რა? ენა, მადლობა ღმერთს, პირიდამ არავის ამოუგლეჯია ჯერ ჩვენთვისო და ეს რეფორმებია, თუ რაღაც ჯანაბა, ვენაცვალე ღვთის სახელს, ღვინის მოსავალი, ნაცარი კი აფუჭებს ხან-და-ხან, მაკრამ მაინც გვარიანია,—ასე რომ სხვა სასმელები არ გვჭირია. თუა საჭმელი ეს რეფორმები, არ გაგვიწყრეს ღმერთი, და ცუდი რამ საჭმელი — ფრანცუზების ბაყაყების არ იყოს, — არ შამოგვაპარონო!. არ მოგვიწონებენო ამომრჩევლები.

მაგრამ ტყვილა კი არაა ნათქვამი, როდესაც არ მოელი წყალობას, ღმერთი მაშინ გიგზავნის ხოლმე! ასე დაემართად ამათაც. ერთ მშვენიერ დილას, ჩვენი „დეპუტატები" ისხდნენ დემუტის სასტუმროში და ჰფიქრობდნენ: ნეტავ ერთი ვაცოდინა: საჭმელია, თუ სასმელიაო ზამოისკი რომ თხოულობსო? ამ დროს შამოვარდა

ხედველმა აღმოაჩინაო: რვა თათარი და ოთხი იმერელი ტუსაღი ერთად იყვნენ ერთს ოთახში, ღამ-ღამით ჩაძვრებოდნენ ხოლმე იატაკ ქვეშ და პატარა რკინის ჯოხის ნატეხით მუშაობდნენო. ეს მესამედ არისო, რომ ამ გვარი განზრახვა გამოაშკარავდა აქაურ სატუსაღოშიო.

* * *

დღეს, საღამოს 7 საათზე, არის მეცამეტე სხდომა გეფხის-ტყაოსნის რედაქციისა.

## რუსეთის ამბები.

— ჰეროვსკის ქალის ვექილათ დანიშნულია ნაფიცი ვექილი ჰვიდრინი.

— მმართებლობამ აღკრძალა რუსეთში შემოტანა სამზღვარ-გარეთიდამ ადვილად ასაფეთქ მასალებისა.

— „მმართებლობის მოამბეში“ სწერია, გამოძიება პატარა ბალის ქუჩაზედ ნახულ თხრილის შესახებ შესრულდაო და წარედგინა შინაგან საქმეთა მინისტრს. ამ საგნის შესახებ ამ დღეებში წარმოება გაგრძელდებაო.

— გაზეთ „მოსკოვის ტელეგრაფის“ სიტყვით, უმაღლესს მმართებლობას მოლაპარაკება აქვს ამ ჟამად იმაზედ, თუ რა ზომები მიიღონ, რომ ციმბირში ადმინისტრატიულის წესით დაკარგულების გამოქცევას ბოლო მოუღონ. ამბობენ, ციმბირში დაკარგვა ჰსურსთ მოსპონ და მაგიერად კუნძულს სახალინზედ გაგზავნიანო.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

ქუთაისი, 23 მარტს. ველირსეთ, ველირსეთ გაზაფხულის დღეებს! როგორც იყო გავისტუმრეთ ზამთრის სუსხიანი დღეები; ეს უკანასკნელი ორი კვირა თითქმის მაისს გვაგონებს: ამწვანდა არე-მარე; ბუნება ლამაზათ მორთულ ქალის სურათს გვიხატავს; ზევიდგან თბილი მზე დაჰყურებს; სიცივისაგან დატუსაღებული ხალხი როგორც იყო გამოვიდა დედა-მიწის პირზე.

„აი ესეც გაზაფხული! ძლივს მოვესწარით“, ერთი მეორეს ვახარებთ. ნეტავი ვიცოდე, რისთვის? რა გვეხარება? განა ჩვენ ცხოვრებაში რამე ცვლილება ხდება და მიტო შევხარით ახალ დროს? განა ისევ ისე უმნიშვნელოთ არ გაირბენს ეს გაზაფხულიც? განა ისევ იმ ბალზე, ვეჩერზე და უბედურ სიყვარულზე არ გვექნება სჯა? ისევ ის პიკნიკები, ისევ ის სადილები არ გვექნება სახეში?...

დღეს ყოველგან, ყოველ მხარეში ერთი უმთავრესი საზრუნველი აქვთ: განათლება. განათლებისათვის ვიზრუნოთო, ყოველი მხარე ამას ყვირის; ვისწავლოთ და ვასწავლოთ ჩვენ შვილებს, რომ სხვისი იმედით არ იყვნენ და საკუთარი შრომით იცხოვრონო. ამაზე ზრუნვის კი რა მოგახსენონ და ეს აზრი კი ჩვენ მშობლებსაც მოსწონთ. მაგრამ ამ გვარი დანიშნულება ჩვენში ქალების ხვედრათ როდი აქვთ წარმოდგენილი; ვაჟისთვის მშობელი ნატრობს სწავლას და ქალისთვის კი მდიდარ ქმარს, კარგათ არჩინოს. ქალი სწავლისთვის არაა გაჩენილი, მას სხვა დანიშნულება აქვსო. რა ცოდვა იქნება, ქალსაც რომ თავის შეძლება თავში ედვას, მუდამ ქრმის ჯიბეს და ხელს არ შესცქეროდეს, ქმარს ნამდვილ ამხანაგათ გვერდში უდგეს და მუდამ იმის საწყალი სახე იმას არ გამოსთქვამდეს: მე ერთი უმნიშვნელო არსება ვარ სხვისი შემჩერეო.

ვაჟო, ცოტა ქალების სწავლისათვისაც იზრუნეთ, იქნება ყველას მდიდრული ცხოვრება არ ჰქონდეს ბედათ დაწერილი, ან ქმარშვილობაში ბედნიერი ცხოვრება! განა ცოტაა მაგალითები? ვსთქვათ ქმარს შესძაგდა ცოლი, არ უნდა მასთან ცხოვრება; მაგრამ სინიდისი აწუხებს, ფიქრობს: ეს ოდესმე მიყვარდა, ვალდებული ვარ ვარჩინოო. ქალიც გრძნობს ყველაფერს; მაგრამ რა ღონე აქვს, ძალა-უნებურათ უნდა დამორჩილდეს თავის ბედს, რადგანაც შრომისთვის მომზადებული არაა. ძალა-უნებურათ უნდა სჭამოს ძალლივით გადმოგდებული ლუკმა! რამდენი თავმოყვარე ქალი გვინახამს ამ გვარათ დაჩაგრული. აბა ჩვენშიაც, როგორც სხვა მხარეში მოზდევდეს ქალებს განათლება, მაშინ კი უეცრავად, ვის ეკადრება სხვისაგან რჩენა,—განა მე ადამიანი არა ვარ? მეც გავანძრევ ხელს; მეც ვიშრომებ...

მაგრამ ვინ მოიცლის ჩვენში ამაზე საფიქრელათ, ვინ გაუწოდებს ქალებს ხელს ამ გვარ საქმეში დასახმარებლათ? აბა ენახოთ, წელს აპრილში ხომ თავად-აზნაურობის კრებაა, ერთი აზრი გამოსთქვას ვინმემ: ახლად დაარსებულ ქალების გიმნაზიას მერვე კლასის გახსნა უნდა, საშუალება ნებას არ აძლევს და ბანკიდგან დავეხმაროთო,—თუ მაშინვე პარტიობა არ გაჩნდეს, თუ მაშინვე ეს აზრი არ გაკიცხონ! ამ აზრს მაშინვე ან სამეგრელოს პარტიას მიათვისებენ და ან იმათ მოპირდაპირეს; შეიქნება ყაყანი და რომლის პარტიაც გაიტანს, გამარჯვების ბაირაღიც იმას დარჩება.

მაგრამ არა, აგრე ნუ მოგვექცევით, ნურცეთს ნუ მიაწერთ ამ აზრს, ჩემო ბატონებო: ეს ახალ-გაზდა მოსწავლე ქალების წინადადებათ მიიღეთ.

მერვე კლასი სპეციალური კლასია; ეს დიდ უფლებას მოგვცემს ჩვენ, შეგვეძლება ნამდვილი მასწავლებლობა, სკოლების გამართვა, ზედამხედველობა და სხვა და სხვ.

ჩვენ უფრო გული არ შეგვეტკივა თქვენ შვილებზე. ჩვენ რომ უფლება ნებას გვაძლევდეს, ჩვენ უფრო გულ-და-გულ არ ვასწავლით თქვენ შვილებს, ვინემ ვილაც გადამთიელი ნემცის ან ფრანცუზის ქალი?

წასრულს კრებაში რომ შემოვიდა ეგ აზრი ქალების გიმნაზიას დავეხმაროთო, ღმერთო ჩემო, როგორ იუცხოვა ჩვენმა თავად-აზნაურობამ, თითქოს ურჩევდენ რიონში ფულები ჩაყარეთო. ბევრი ლანძღვა მოგვხდა ჩვენ და ჩვენ უფროსებსაც...

იმედი ვიქონიოთ, რომ წლევანდელი კრება ბანკისა წინანდელს არ მიბაძავს... ქეთილად დაბოლოება ამ სასარგებლო საქმისა თავად-აზნაურობაზეა დამოკიდებული: თუ ცოტა ხელი არ მოგვიწყო, გიმნაზია ვერ შესძლებს წრეულობით მერვე კლასის გახსნას.

დასასრულ ამედს ვაცხადებ, რომ ჩვენი პატივცემული თავად-აზნაურობა ამ აზრს არ იუცხოვებს და ერთხმით გადაწყვეტენ ბანკიდგან მისცენ საქალებო გიმნაზიას შემწეობა, რომ მერვე სპეციალური კლასი დაარსდეს.

ქუთაისის საქალებო გიმნაზიის მოწაფეთაგანი.

## უცხოეთი

საფრანგეთი. უმეტესი ნაწილი პარიჟის გაზეთებისა წინაამდეგნი არიან იმ აზრისა, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთ არც ერთ სახელმწიფოში არ უნდა ექნესთ თავის შეფარების უფლებაო. გაზეთი „France“ ყველაზე უფრო ეწინაამდეგება ამ გვარ წესის შემოღებას და ამბობს, რომ ეს სულ ბისმარკის ოინებიაო.

ხმები არის, რომ საფრანგეთი არ მიიღებს ამ წინადადებასაო.

— გაზეთ „რუსკი კურიერში“ სწერს პარიჟელი კორრესპონდენტი: გაათავეს გასამართლება როშფორისა და გაზ. „სიტუაიანისა“ ხელმწიფის მკვლელობისადმი თანაგრძნობის გამოცხა-

---

მათთან ოთახში ერთი „ჭკუის კოლოფი“ და ცრემლით შესჩივლა: ასე და ასეო, ახალი ვენზელები *) გამოვიდა მხრებზე დასაკერებლათ, ყველას მისცეს, უკანასკნელ სალდათსაცაო და ჩვენ კი, „კანვოიცები“ გამოგვტოვესო!

— ხუმრობ, თუ მართალს ამბობ? როგორ გამოგვტოვენო?!.. ნუ თუ ამის მეტი პატივი არა აქვთ ჩვენი. ღალატობას გვწამობენ თუ ორგულობას?.. არა, ეს ასე არ იქნება!.. მთლად შევსძრავ პეტერბურღს—საქართველოს კი არ დავღუპავ! წამოიძახა ერთმა.

— შენ რას იტყვი, ა—ნ?

— შენ თუ რამეს გეიმეელი, ბატონო, თორემ გლახათაა საქმე. ამ სიშორეზე ვართ, იქ რომ ვენზელით საქართველო დაიქცეს,—ბოვშები მეცოდებიან თორემ სხვა არას ვჩივიო. მიუგო გულმწუხარეთ ა—ნმა და ჯიბიდამ ცხვირსახოცი ამოიღო ცრემლების მოსაწმედათ.

„ერთმა მათგანმა შეიმოსა, ვითარცა რძალი და შეიმკო, ვითარცა სიძე“ და ვასწია მამულის დასახსნელათ. იმისთანა რაინდული და გამბედავი შეხედულობა ჰქონდაო,—ამბობდნენ ნევის პროსპექტზე, რომ სულ დააფრთხო თურმე პოლიციელები. ფოტოგრაფს შაპიროს, რომელიც გამოჩენილი პირების სურათებს აგროვებს, უნდოდა თურმე, შთამომავლობის გასაკვირვებლად, გადაეღო მისი სურათი და ამგვარად შეენახა მომავალი თაობისათვის დიდი პატრიოტის სახე; მაგრამ, საუბედუროთ, ნისლიანი დღე იყო და არა გამოვიდა რა!..

ბოლოს მივიდა ჩვენი პატრიოტი ერთს მაღალს-ხარისხოვან პირთან, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ეხლა პეტერბურღში და იმტენათ უყვარს საქართველო, რამდენათაც ჰსძულს თავაშეერილი სისულელე. დაპირებია, ვენცდები არ დაიქცეს კავკასიაო და ვენზელს მოგართმევთ „კანვოიცებისათვისო“...

თქვენაც მიხვდებით, ბატონებო, რა მოხდა ამის შემდეგ. გამოვიდა თუ არა ქუჩაზე ზემოხსენებული პირის სახლიდამ თავ-გამომეტებული მოციქული საქართველოს წარმატებისა, პეტერბურღმა ნახა ისეთი სურათი, რომლის მსგავსს კვლავ, რასაკვირველია, ვერ ნახავს. მთელი ზოოლოგიური ბაღი“ ერთ ხმათ ადიდებდა გმირის მოქმედებას და ტაშს უკრავდა მისს ქცევას. რაც შეეხება პეტერბურღის საზოგადოებას, ამ ამბავმა ის ძლიერ შეაწუხა.—ვაი თუო, მეუბნებოდნენ ჩემი ნაცნობი რუსები იმ პირს, რომელსაც თქვენმა დეპუტატებმა წარუდგინეს უცნაური თხოვნა, ცუდა ბოლო მოეღოსო?... ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა.

ჯერ-ჯერობით, მადლობა ღმერთს, ბილლიუტენები არსად სჩანს, და მაშასადამე თქვენაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ზემოხსენებულს მაღალ ხარისხოვანს პირს სიცილით არ განუტევებია სული. მადლობა ღმერთს, თორემ რაღა ეშველებოდა რუსეთს... მაგრამ განვაგრძელოთ ამბავი:

ამის შემდეგ „ლეპუნტატები“ მიეცნენ ქეიფს და ნეტარებას! რადგანც ქართული პოეტები პეტერბურღში არ არიან და არც სცალიანთ მათთვის, მათ მოახერხეს იოლათ გამოსულიყვნენ ამ მხრით, რომ ულექს-სიტყვაობით დღესასწაულობას შნო არ დაკლებოდა. ასწავლეს კავკასიიდამ ჩამოყვანილს მოსამსახურეს შესაფერი ლექსები, წამოჯდნენ არხეინად დივნებზე, აბოლეს ჩიბუხები და ყურს უგდებდნენ ღირსეულათ დამსახურებულ შესხმას:

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება,

„თქვენთა სახელთა დიდებით წარმოსთქვამს შთამომავლობა,

---

*) ვენზელი — ახლად დაწესებული ნიშანია, მხრებზე დასაკერი, მიცვალებულის იმპერატორის სახსოვრათ.

დებაზედ ; ამავე დანაშაულისათვის ირჩევა ეხლა კიდევ სამი ჟურნალის საქმე: „ნი დიო, ნი მეტრ“, („არც ღმერთი, არც ხელმწიფე“) „ჟუვენალ“ („იუვენალი“) და „რევოლიუსიონ სოსიალ“-სა („სოციალური რევოლიუცია“) და ორი მუშისა, რომლებიც დაიჭირეს, როდესაც პროკლამაციებს აკრავდნენ ქუჩებში. სასჯელი, რომელიც გადაუჭრეს ამათ, აქაურებს ძალიან დიდათ მიაჩნიათ. ყველა ზემოხსენებული გაზეთების პასუხის-მგებელ რედაკტორებს გარდაუწყვიტეს ექვსი თვის ციხე გარდა როშფორისა და ჯარიმა როშფორის გაზეთიანათ ოთხი ათას ფრანკამდი.

—

**შვეიცარია.** ბერნიდამ (შვეიცარიის უმთავრესი ქალაქი) იწერებიან ფრანცუზულ *Journal des Débats*-ში. „რაღა თქმა უნდა, რომ აქაური ნიგილისტები, 1 მარტის შემთხვევა რომ შეიტყეს, ერთობ უწესურად მოიქცნენ. თავის მხიარულებას სრულიადაც არ ფარავდნენ ისინი. მთელი დღე ქეიფში გაატარეს და მეორეს დღეს ჩანწკრიებული და სიმღერით ჩაუარეს წინ რუსის ელჩის სადგომს. იმ დროს, როდესაც ჟენევიდამ გამოწვეული რუსის მღვდელი, განსვენებულ იმპერატორზე პანაშვიდს იხდიდა, ეკკლესიის ვარეთ ერთი შარმანკის კვრა და ცეკვა იყო გამართული...

„ყველა ეს, ეჭვი არ არის, სამწუხაროა; მაგრამ რას იზამთ, ხომ ვერ შესცვლით შვეიცარიის კონსტიტუციას და ვერ აუკრძალავთ შარმანკაზედ ქეიფს.

„მე რომ მქონდეს ძალა, ვიყვე რუსეთის მმართველი, რევოლიუციონერებს მივცემდი ნებას გამოცხადებულ კრებებისას. მაშინ ყველანი გაიცნობდნენ მათი სწავლის უმნიშვნელობას.

„სულ უბრალოდ უჩივიან შვეიცარიის პოლიციას; შვეიცარიის მმართებლობას ერთი ჟანდარმიც არა ჰყავს თავის განკარგულებაში. აქ არის მხოლოდ ადგილობრივი კანტონალური პოლიცია. ჟენევაში თვითონ რუსებსა ჰყავს პოლიცია, მაგრამ რა გამოაჩინა მან, რას აკეთებს? პეტერბურღში მთელი ქუჩა გათხარეს, მაგრამ ესეც არავინ იცოდა. პეტერბურღის გაზეთები თავიანთ თვალში დირეს ვერ ხედვენ, მაგრამ სხვისაში კი ბეწვსაც ხედვენ. რევოლიუციონერები პეტერბურღში აკეთებენ ასაფეთქ ყუმბარებს და ისინი კი გაიძახიან, ყველაფერი შვეიცარიიდამ მოდისო, სადაც რუსეთის რევოლიუციონერები მხოლოდ უბრალო თეორიას ქადაგებენ და ლუდსა სმენ ყავახანებში!

„აქ უნდა დავუმატო, რომ ყველა ამაებში ბრალსა სდებენ როშფორს, იმას ჰკრულავენ აქ არამც თუ მმართებლობა, რევოლიუციონერებიც, და ეძახიან რუსის ჯაშუშს. ვერა მოსისხლე მტერი ვერ უზამდა შვეიცარიას იმას, რაც როშფორმა უყო. უკეთეს რამეს მოელოდა შვეიცარია მისგან და უფლებაც ჰქონდა ამ მოლოდინში. მაგრამ მე დარწმუნებით, შემიძლიან ვსთქვა, რომ ეს მას წინდაუხედაობით მოუვიდა. უნდოდა გამოეჩინა ქვეყანაში თავი ყოვლის-მცნობელ ჟურნალისტათ. კარგია, რომ ჯერ აქამდისინ შეტაკება გაზეთებს არ გადასცილებია: რუსის მმართებლობას არავითარი მუქარებითი წინადადება არ წარმოუდგენია შვეიცარიისათვის.

—

**საბერძნეთი.** ათინელი კორრესპონდენტი ფრანცუზულ გაზ. „*Figaro*“-სი იწერება თავის საუბარს საბერძნეთის კოროლთან.

„— რა მიზეზია, უთქვამს კოროლს, რომ თქვენ ყველანი საფრანგეთში მოქმედობთ ახლა ჩვენ წინაალმდეგ. ამ ჟამად, ერთის შეხედვით, საფრანგეთი ყველაზედ უმეტეს მოწინაალმდეგეთ გვიჩნდება ჩვენ. მე არ მესმის ამ გვარი გამოცვლა საფრანგეთის პოლიტიკისა. თქვენ იტყვით, რომ საფრანგეთს შინაგან პოლიტიკაშიაც საკმაო უთანხმოება აქვს და არ შეუძლიან უცხო ქვეყანას რამე დახმარება გაუწიოს. თანახმა ვარ. მაგრამ საბერძნეთი იტანჯება და „თქვენ რომ ადრინდულათ გულმხურვალეთ თანაგვიგრძნობდეთ, მაშინ ომი არ ასტყდებოდა ჩვენსა და ოსმალეთს შუა. ეხლა კი გაგულადებული უფრო ოსმალეთია. იმან იცის, რომ ჰყავს მომხრეები, უფრო და უფრო გასწევს წინააღმდეგობას და ომი აუცილებელია. თქვენ აკრძალეთ თქვენში, რომ აღარ მისცეთ საბერძნეთს არც წამალი და ის 30,000 თოფიც უკან დაიბრუნეთ და ამითი გეგონათ, რომ საბერძნეთი შეიარაღებას დაანებებდა თავს? შესცდით. ჩვენ სხვაგან შევკარით პირობა და თითქმის მზათა ვართ ეხლა; ის 30,000 თოფი მთიულებისათვის გვინდოდა ეპირში და თესალიაში, მაგრამ ამათთვინაც ვიშოვნით—ევროპაში არავინ არ დაგვიკავებს, ვისაც ვსთხოვთ. გამბეტას ჩემ მეგობრათ უწოდებენ. მართალია, გამბეტა თანაუგრძნობს საბერძნეთს, მაგრამ ჯარს კი არასოდეს არ მიაშველებს საბერძნეთს. საბერძნეთი მზათ არის საომრათ და ვერასოდეს ვერ მოითმენს იმას, რომ ეპირსა და თესალიას ხედავდეს ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ.“

## მწერლობა.

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეთორმეტე სხდომა რედაქციისა, 27 მარტს.)

თავმჯდომარე: თავ. დ. გ. ერისთავი.

გაარჩიეს მეექვსე კარის ბოლო, მეშვიდე კარი, მერვე და მეცხრე. სულ 43 ხანა.

გასწორდა:

ა) ტექსტში:

მეექვსე კარი.

| ხანა. | დაბეჭდილია: | | გასწორდა: |
|---|---|---|---|
| 26 | ასმათისა | — | ასმათისი |
| 27 | მოვალ | — | მოხვალ |
| 31 | გასცა | | [illegible] |
| — | მრავალი | — | [illegible] |
| 34 | შადი | — | შარდი |

მეშვიდე კარი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | უჩვენო | — | უჩვენნე |
| — | მათი | — | მათნი |
| 4 | წინასაც | — | წინაცა |

მერვე კარი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ჰეტუვი | — | ჰტუფი |
| 3 | გაშიყობდეს | — | გაშიკობდეს |
| 4 | მზისაცა | — | მზესაცა |
| 5 | ხელის | — | ხელსა |

მეცხრე კარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ჩვენო | — | ჩვენნო |
| — | პატრონო | — | პატრონნო |
| — | ზედა | — | ზედან |
| 3 | კაცი | — | კაცნი |
| 4 | პირობა | — | პირება |
| 9 | მოუბნესა | — | მოიუბნეს |

ბ) სხოლიოში:

მეექვსე კარი:

| ხანა. | ტექსტია: | | გარიანტია: |
|---|---|---|---|
| 22 | ასმათისი | — | ასმათისა |
| 23 | უზრახობასა | — | უმზრახობასა |
| 24 | გამოხდეს | — | გამოხდა |
| — | და | — | გლახ |
| — | მე | — | გვლა |
| — | დამიწყეს | — | დაიწყეს |
| 25 | ჴბრძანა | — | მიბრძანა |
| — | გახსნევა | — | გახსნა |
| — | ფარვად | — | ფერად |
| — | პატიჟთა | — | თავისა |
| 26 | შინა | — | შიგან |
| 27 | მონამან | — | ასმათის |
| — | შევიტყევ | — | ჩავხედე |
| — | მოხვალ | — | მოვალ |
| 28 | ვარქვი თუ | — | უთხარი |
| — | ვარ | — | ხარ |
| — | სრულად | — | სრულნი |
| — | მმონებენ | — | გმონებენ |
| 30 | წელთა | — | წელსა |
| 33 | მოუსურავს | — | მოუბურავს |
| — | წაიყვანე | — | შეიყვანე |
| 38 | დიდის | — | დიდი |
| — | გაგაგონოს | — | გამამართოს |
| — | უთქმევია | — | ურქმევია |

---

„თქვენთა საქმეთა მოთხრობით, მოსუცს ცრემლი მოედინება!

ასე ადიდებდა ახალ-გამომცხვარი პოეტი ბატონ „დეპუნტატებს“, და საქმე საუცხოვოთ მიდიოდა, რომ ერთი... შემთხვევა არა: ოთახში შემოვიდა მეორე „ჭკუის კოლოფი“ და განსაცვიფრებელი სიურცხვით მოახსენათ:

„რომ თხოულობდით მოწყალებას, ვინ გთხოვათ თქვენ?“ რაც შემეხება მე, არ მინდა ის ვენზელიო, თუ ჩვენ მარტო გვიბოძებენ ლეკები და თათრები გამოტოვესო. ღმერთო მომკალი და სული ამომხდინე!... ვის მიქვია, რას მიქვია ამხანაგების ღალატობაო და სხვ. და სხვ.

არ შემიძლია აგიწეროთ, რა მოხდა ამას შემდეგ! სამი ვეშაპი, რომლებზედაც, როგორც „დეპუნტატებმა“ კარგათ იციან ქვეყანაა გაჩერებული ერთად რომ ჩაბარებოდა პატრონს და და ერთბაშად დაქცეულიყო ქვეყანა, ამისთანა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა!...

— ლუკმა-ლუკმა, ის ცხონებული მამა ნუ წამიწყდება, ლუკმა-ლუკმა აგკუწავ, კიდევ რომ ხმა ამოიღო! შეხედე ამ ყურუმსაღს, რას ამბობს: არ მინდაო! მაშ ტყუილათ შევაწუხეთ პატიოსანი გენერალი, გავაკვირვეთ პეტერბურღიო და სხვ. და სხვ...

—

სამწუხარო იყო ნაპოლეონ I-ის მდგომარეობა ვატერლოოს ომში, სასოწარკვეთილობითი იყო მისი ძმისწულის ჰყოფნა სედანთან, მაგრამ არც ერთის გულში არ ყოფილა მისთანა ცეცხლი, როგორიც ტრიალებდა ბ-ნი ნ—ის მუნდირის ქვეშ.

უყავი ახლა შენ კეთილი ხალხს, ვინ დაგაფასებს, ვინ შეგნიშნავს... სამწუხაროა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ქვეყნის უმადურობა, ვიტყვი მეც ჩემის მხრით.

— ეხლა რით გათავდაო? მკითხავთ თქვენ.

არ ვიცი, ჭეშმარიტათ: იზამს მოწყალებას „დეპუნტაცია“ და არ დალუპავს დაღესტანს, თუ გაუხსენებს მამა-პაპურ მტერობას და მოსპობს დედა-მიწის ზურგიდამ,—ეს მომავალის წყვდიადშია დაფარული. შეიძლება ასეც მოხდეს და ისეც! ყოველივე მოსალოდნელია!

მე ჩემის მხრით, მოგახსენებთ, დასასრულ ერთს ახალ ამბავს, რომელსაც, რასაკვირველია, თქვენაც შეხვდებოდით რუსულ გაზეთებში, და იმით დავაბოლავებ ამ უღმისოთაც გაგძელებულ წერილს.

პეტერბურღის „დუმამ“ მოახდინა არა ჩვეულებრივი სხდომა და გადაწყვიტა: რადგანაც კავკასიელი „დეპუნტაცია“, პეტერბურღში მყოფობის დროს, სხვა-და-სხვა უფლებაების და ქება დიდების მოპოებით დაიტვირთა,—დაინიშნოს ცალკე კომისია მცოდნე და გამოცდილის ინჟენერებისაგან, შეუძლია თუ არა ნიკოლაევის რკინის გზას, მათ სამშობლოში დაბრუნების დროს, გაუძლოს ამ არა ჩვეულებრივ სიმძიმეს, თუ ექსტრაორდინარული ზომების მიღებაა საჭირო?

ეხუმრებით, ბატონებო! გზა რომ დაიმტვრეს, ხომ დავრჩით გაცალკევებული მთელის რუსეთისაგან! საწყენი ის არის, რომ ნამეტნავათ ჟინიანი ხალხი არიან: რამდენი ვეხვეწეთ: დასტოვეთ, ვაჟო, ნახევარი და მერე სხვა პოეზდით გამოგიგზავნით-თქო, მაგრამ ჰა არა ეშველათ-რა!

— შენ რა იცი, ბოშო, საშიშარია, დაიკარგებაო. პოლშელებიც აქ არიან: ვინ იცის რა ხალხია! რომ დაიხარბონ და მიითვისონ, მაშინ რაღა გვეშველებაო? მეუბნებოდა ერთი მათგანი.

მართალია, „თვალი კაცისა ხარბია“, მოგეხსენებათ.

ილია ბახტაძე.

პეტერბურღი, 19 მარტს.

მეშვიდე კარი:

| | | |
|---|---|---|
| 2 | ცეცხლი | — ალი |
| 3 | უჩვენნე | — უჩვენო |
| — | ყველანი | — ყოველნი |
| 4 | მანდა | — აქა |
| მერვე კარი: | | |
| 3 | ესე სჯობდეს | — თუცა... |
| — | საუბარსა | — ნაუბარსა |
| 4 | მზესაცა | — მზისაცა |
| — | სინათლე | — სათელი |
| 6 | რომე ცეცხლი | — ცეცხლი რომე |
| მეცხრე კარი: | | |
| 2 | ზედან | — ცხადათ |
| — | სისხლთა | — სახლთა |
| 5 | მოველ | — შეველ |
| — | მიეცა | — მივეცი |
| — | კარსა | — კარის |
| 6 | მესვა | — მესო |
| — | ამითო ლხვა | — ამითოლხვდა |
| 8 | ამიგდო | — აზიდნა |
| 9 | მოიუბნეს | — მოუბნესა |
| 10 | მოგეცა | — გლან მომეც |
| 11 | სიმძიმილთა | — სიმძიმილის |
| — | დახშე | — დახშევ |
| 14 | ლაღი | — ლაღნი |
| — | რამ ჩვენ ვართ | — ჩვენ ვართო |
| — | ვინ არის | — ნეტარ მე |
| — | ჩემზედა | — ჩვენზედა |

ზემოთ - მოყვანილი ცვლილებით გარდა, ზოგან მთელი ტაეპი გამოცვალა სხოლიოში შესატანად.

ეს ცვლილება მოხდა:

მეექვსე კარის, მე-22 ხანაში, რომელშიაც მესამე ტაეპი, ტექსტში დაბეჭდილი:

გამიკვირდა სხვად ვითამცა ვქენ გულისა მწველთა სითხე

სხოლიოსთვის გამოიცვლება ესე:

გამიკვირდა სხვად გულისა ვითამცა ვქენ მწველთა სითხე

იმავე კარის მე-38 ხანაში, პირველი ტაეპი:

ადგა მითხრა თქვენსა მკრძალსა ჩემგან ცნობა უსნევის

გამოიცვლება:

ადგა მითხრა თქვენს კრძალვასა ჩემთვის სიტყვა უმცნევის.

მეცხრე კარში, მეათე ხანაში, მეორე ტაეპი:

ვთქვი: საწუთროო, ვის წედან გული დაჭმანთა მიარე

გამოიცვლება:

ვთქვი: საწუთროო, გულს ლხინი წედან დარამათ მიარე.

სხოლიოშივე ჩაერთვება მეექვსე კარის მე-36 ხანა და მეშვიდე კარის პირველი ხანა. ეს ხანები ბროსსეს პირველ გამოცემაში არის დაბეჭდილი პოემის ტექსტში.

... დღეს არის მეცამეტე კითხვა.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი


**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—44

**ძმ. სალი-ოღლის თამბაქოს ფაბრიკისაგან.**

რადგან ზოგიერთი თფილისი მეთამბაქოები, რომელთაც თავის საკუთარი კარგი თამბაქო არა აქვთ, **ჩვენი ეტიკეტების მსგავს ეტიკეტებს აკვრენ** თავიანთ პაპიროზებსა და თამბაქოს და ამ თ **ატყუებენ** გამოუცდელ და წერა-კითხვის უცოდნელ ხალხს, ამის გამო ჩვენი ფაბრიკა საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ ამ მოტყუების თავიდამ ასაცდენად, ყველა მყიდველმა თამბაქოისა და პაპიროზებისა გასინჯოს ჩვენი ფირმის ზედ-წარწერა: **ოსმალოს ქვეშევრდომი ძმები სალი-ოღლი.**

**ფაბრიკა სალი-ოღლისა.**

(5—3)

**ბევრი კრაოტები**

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ძიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—13

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2. კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—48)

**დასყიდვა ფასებით:**

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიცა უვლგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეაში. (20—13).

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას იგარები. (100—44)

**ღვინის სახდელი მაშინები**

ინჟინერ - მეხანიკის **ბარტ კ. ფონსაერის სისტემისა,** რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზაოდებზე, **მზადდება თფილისში,** ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, **№ 16** მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე **კარლ ნეიმანთან.** (11—9)

# ქუთაისში

„ივ. ნიკოლაძე და შვილების" მოდის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა ნაირი საქონელი **სადღესასწაულოდ** რომელიც 25° ₀ ნაკლებ იყიდება ვიდრე სხვა მაღაზიებში. იქვე იყიდება ჭორფლის წამალი და გამამშვენიერებელი ლეკანდეს.

(10—8).

**იჯარით მამული**

სოფ. ქარელში გორის უეზდში) რკინის გზის მახლობლად გაიცემა იჯარით თ. იასონ დავითის-ძის ციციანოვის მამული: სახნავ-სათესი ადგილები, სათივე, ტყე (ერთი მე-ოცდა-თორმეტე ნაწილი საციციანო ტყისა), აგრეთვე სახლი სოფ. ქარელში ... თვის მოწყობილობით, ...

დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სოფ. ქარელში თ. იასონ დ. ციციანოვისაგან. (6—5)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**სამწერლო**

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...საქმი (ლექსი) ბ—სა, V ფერი ფერს — მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაცლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ხელის კამფეტები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის — 10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი — 70 კაპ., საუკეთესო კონიაკი — 2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი **ინგლისის მაღაზიაში.**

(20—14)

ინგლისის მაღაზიაში

თმისამ-მუვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—51)

**LANGUE ET LITTÉRATURE FRANÇAISE.**

Un professeur de l'université de Paris désire donner des leçons. S'adresser Librairie Baerenstamm.

(3—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Марта 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.